ცნობის ფურცელი

№ 2241 ოთხშაბათი, 20 აგვისტო **1896—1903** ყოველ-დღიური გაზეთი **№ 22 1**

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—8 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ყოველდღიური სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და ფასიანი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის ღია ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

ფოთის საბუღალტერო კურსები

კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. კურსებისთვის აშენებულია საგანგებო კაბინეტი პრაქტიკულ განყოფილებაში ფიქტიურ ოპერაციების საწარმოებლად. კურსების ჩინებულად დამსრულებელთ თვით კურსების დამაარსებელი უჩენს ადგილს (ნ. 0—8)

უგულითადეს მადლობასა ვსწირავთ ნათესავ-მეგობართ, ვინც წერილით თუ ტელეგრამით მოგვისამძიმრა და ნუგეში გვცა უსაზღვროდ მწუხარე მშობლებს ჩვენის ძვირფასის შვილის, ადესის საკომერციო სასწავლებლის VII კლასის მოწაფის, **ანდრია იოსელიანის** უდროოდ გადაცვალების გამო.

მიცვალებულის დედ-მამა

ირინე და სანდრო იოსელიანები.

ქ. სოხუმი. (1—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

შ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. შ. მალალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ზრ. შ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. შ. მალალაშვილი. შინაგ., ბავშ., გულის ავადმყოფობა და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.

სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, გედევანოვის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წდ.) **ტელეფონი № 274.**

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., სად. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ს ა ჭ ი რ ო ა

ახალგაზდა ქართველი ექიმი

კერძო სამკურნალოსათვის.

ექიმმა უნდა იცხოვროს მუდმივ თვით სამკურნალოში.

მიმართეთ: გედევანიშვილის საავადმყოფოში დირექტორს და კბილის ექიმს ჭიჭინაძეს. (6—6.—4)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ი. პ. ახალშენიშვილი

(გოლოვინის ქუჩა № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 8—10-მდე და 11—2 მდე. სადამო საღამობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამობით 5—7-მდე. (წლ.)

საზღვარ-გარედ

მაკედონია. სტამბოლში მაკედონიიდან ყოველ დღე ბევრი დაჭრილი ხალხი მოჰყავთ გემებით. მაკედონიიდან ბერძნის ოჯახიც ბევრი მოვიდა აქა. ესენი აჯანყებულთ შიშით გამოქცევიან. ბოლგარები, როგორც ვიცით, ძლიერ სდევნიან იმ ბერძნებს, რომლებიც პირდაპირ ჯაშუშობას ეწევიან, და ბოლგარ რევოლიუციონერებს ოსმალეთის მოხელეებთან ხშირად აბეზღებენ. ხონთქარი რამდენიმე ასს ოსმალოსა და ბერძნის სახლობას ინახავს თავის ხარჯით. ესენი აჯანყებულთაგან აკლებულ სოფლებიდან არიან მოსულნი. ზოგიერთი გამოქცეული კოვაკის საავადმყოფოშია დაბინავებული.

◆ როგორც ვიცით, უსკიუბის ვალიმ უარი უთხრა რუსეთისა და ავსტრიის კონსულებს, მუშ ბოლგარების მკვლელ ჯარის კაცებს და იმ ბატალიონს, სადაც ეს ჯარის კაცები მსახურებდნენ, პასუხის გებაში არ მივცემო. ეხლა კონსულებს ეს საქმე რუსეთისა და ავსტრიის ელჩებისათვის შეუტყობინებიათ სტამბოლში. ინგლისის კონსულსაც ხსენებულ კონსულების მხარე დაუჭერია.

◆ ადრიანოპოლის ვილაეტში უფრო და უფრო ძლიერდება აჯანყება. რადგან ეს ვილაეტი ბოლგარიის საზღვარზე დევს, ეშინიანთ, რომ აჯანყებამ უიმისოდაც აღელვებული ბოლგარიის ერი არ გაიტაცოსო.

◆ ხონთქარმა რუსეთის მოთხოვნილებით მაკედონიის უმთავრეს ინსპექტორს ხილმი-ფაშას სასტიკი შენიშვნა მისცა იმაზე, რომ ხილმი ფაშა ყოველთვის ოსმალეთის ჯარს ამართლებდა და კონსულების მოხსენებას ყურადღებას არ აქცევდაო. ახლა ხმა დადის, ხილმი-ფაშა სამსახურიდან გადადგომას აპირებსო. რუსეთ-ავსტრიის შეთანხმების ძალით, ხონთქარს არ შეუძლიან დანიშნულ ვადამდე თავის ნებით დაითხოვოს ხილმი-ფაშა, ასე რომ ხილმი-ფაშა თავის ნებით თუ გავა სამსახურიდან, თორემ ძალით ვერ დაითხოვენ.

◆ კონსულ როსტკოვსკის მკვლელთა დასჯას ძლიერ აუღელვებია მუსულმანები. ხმა დადის, როცა როსტკოვსკის მკვლელებს სიკვდილითა სჯიდნენ, ერთმა ოსმალელმა აფიცერმა ხილმი-ფაშას მოკვლა განიზრახაო. დამნაშავეს რომ განაჩენს უკითხავდნენ, აფიცერმა ერთ ჯარის-კაცს თოფი გამოსტაცა ხელიდან და ხილმი-ფაშას სროლა დაუპირა თურმე, მაგრამ სანამ გაისროდა, მისცვივდნენ, თოფი წაართვეს და დაატუსაღეს.

სტამბოლიდან იწერებიან, ალბანელი დარაჯები ილდიზ-კიოსკში მეტად აღელვა ალბანელ ჟანდარმის ჰალიმის დასჯამაო. უმაღლეს მთავრობას სასახლეში მოსამსახურე ალბანელების აჯანყებისა შეეშინდა და ღონისძიება მიიღო, რომ ხონთქარის სიცოცხლე უფრო კარგად დაიცვანო.

◆ ოსმალეთის სამხედრო სასამართლომ სალონიკში მომხდარ აფეთქების საქმეზე ბოგდანოვსა, პოჩევსა, არხოვსა და სტოიანს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, 29 კაცს კიდევ ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა 3-დან—15 წლამდე. განაჩენი ჯერ არ დაუმტკიცებია ხონთქარს, მაგრამ პატივების იმედი მაინც არავისა აქვს.

◆ „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს სწერენ სტამბოლიდან: ბიტოლიიდან და სალონიკიდან კონსულები ატყობინებენ ელჩებს, ოსმალეთის ჯარში დისციპლინა ძლიერ დაეცაო. უფროსები ხშირად ვერას აგონებენ ჯარის კაცებსაო. კონსულები დარწმუნებულნი არიან, რომ ოსმალეთი თითონ ვერ შეიძლებს მაკედონიის დამშვიდებას. დიდი სახელმწიფოები უსათუოდ საქმეში უნდა გაერივნენ და მაკედონიაში ჯარი გამოგზავნონო.

კიუსტენდილიდანაც იწერებიან, ბოლო დროს დიდძალი ჯარის-კაცი მირბის ჯარიდანაო. სათადარიგო ჯარიდან მთელი როტები თავიანთ ოფიცრებით სამსახურს სტოვებენ და აქეთ-იქით მირბიანო.

სერბია. ბალკანეთის პატარა სახელმწიფოებიც დიდ ყურადღებას აქცევენ მაკედონიის მოძრაობას. სერბიამაც, როგორც ვიცით, ხმა ამოიღო და მაკედონიის განთავისუფლება მოითხოვა.

წინდაწინ სერბიის ხალხი მაგდენ ყურადღებას არ აქცევდა მაკედონიის მოძრაობას. ხალხს თავის საკუთარი საქმეები აწუხებდა. მაკედონიის ნაწილში, ძველ სერბიაში, სადაც ბევრი სერბი სცხოვრობს, აჯანყებულნი ისე მხნედ ვერ იქცეოდნენ, როგორც მაკედონიის სხვა ოლქებში. მაგრამ ბოლგართ მხნეობამ და გმირობამ ნელ-ნელა სერბიაც გაიტაცა და ფეხზე დააყენა. სერბიაშიაც გაჩნდნენ აგიტატორები. ესენი არწმუნებენ სერბებს, ჩვენც ბოლგარიას უნდა მივბაძოთ და მაკედონელებს დავეხმარნეთო. ბოლოს დროს ძველ სერბიაშიაც მოხდა ბევრი საზარელი ამბავი. წინად სერბებს რეფორმების იმედი ჰქონდათ, მაგრამ რეფორმების მაგიერ, ოსმალეთის ჯარი და ალბანელები ჰკლავენ და სძარცვავენ ქრისტიანებს. გაძარცვული ხალხი სერბიაში მირბის და უფრო აღელვებს იქაურ ხალხს. ეხლა სერბიაში ხალხი აშკარად ვარჯიშობს თოფის სროლას და იარაღსა სთხოვს მთავრობას. ზოგიერთ სერბიულ პოლიტიკურ მოღვაწეს საჭიროდა და აუცილებლად მიაჩნია, რომ სერბია ოსმალეთს ეომოს. მთავრობა ჯერ მძიმედ იქცევა და ხალხს არ ასდევს, პირიქით, სადაც კი შეიძლება, ხალხს ამშვიდებს და აშოშმანებს. მეფე პეტრეც თავდაჭერით იქცევა ამ საქმეში. მეფემ ერთის საზოგადოების წარმომადგენელთ უთხრა, სერბია ომისათვის უნდა მოემზადოსო, მაგრამ თან დაუმატა, ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ და ძლიერ ვეცადნეთ, რომ საქმე მშვიდობიანად გადასწყდესო. 20 აგვისტოს მაკედონიის საქმეზე გაზ. „სტამპა“-ს რედაქცია დიდ კრებას მოახდენს.

საფრანგეთი. სხვა სადეპარტამენტო საბჭოებმაც გაუგზავნეს მთავრობას თანაგრძნობის ადრესები ანტიკლერიკალურ პოლიტიკისათვის. ბევრმა საბჭომ სურვილი გამოსთქვა, მთავრობამ საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს დაწესება მოითხოვოსო. ამას გარდა საბჭოებმა ბევრი სხვა სურვილიც გამოაცხადეს, ასე მაგალითად: ინგლისის განთქმულ „ჰაბეას კორპუს“-ის კანონივით, საფრანგეთმაც გამოსცეს კანონი, რომ ყოველ მოქალაქის თავისუფლება დაცული იყოს და სანამ სასამართლო არ დაადგენს, მთავრობას მოქალაქის დატუსაღების უფლება არ ჰქონდეს; გამოიცეს კანონი, რომ ავტომობილებს საათში 40 კილომეტრზე მეტის გავლის ნება არა ჰქონდეთ; წერილების გასაგზავნი ქირა შემცირდეს 10 სანტიმამდე; კაზარმებში ჯარს ლექციებს უკითხავდნენ ლოთობის ვნებასა და ჰლექთან ბრძოლაზე; სამხედრო სასამართლოები გაუქმდეს; სისხლის სამართლის კანონთა კრებული მთლად შეიცვალოს; საფრანგეთსა და რომის პაპს შუა ყოველი ურთიერთობა მოისპოს; ყველა კონგრეგაცია აიკრძალოს და კონგრეგაციებს ყოველი მამული და ქონება ჩამოერთვას. ზოგიერთმა საბჭომ სურვილი გამოსთქვა, რაც შეიძლება მალე, შემოსავლის დაკვალად გადასახადი და სამხედრო სამსახურისათვის ორის წლის ვადა დაწესდესო.

◆ იქითა კვირა დღეს კომბმა ქვემო შარანტის დეპარტამენტში ქალ. სენტში ორი სიტყვა წარმოსთქვა და ხალხს მთავრობის ბრძოლა კლერიკალიზმსა და რეაქციასთან გააცნო. პირველი სიტყვა კომბმა ადგილობრივ მოხელეთა მიღების დროს წარმოსთქვა. პროტესტანტის მღვდლის სალმის პასუხად პირველმა მინისტრმა სთქვა:

„ჩვენში ზოგიერთს ჰსურს, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შუა ურთიერთობა შეიცვალოს. იქნება ეს ცვლილება მალეც მოხდეს. როცა ეს სურვილი ასრულდება, სახელმწიფო, როგორც სინიდისის თავისუფლების დამცველი, მოვალე იქნება, ყველა სარწმუნოებას თანასწორი თავისუფლება მიანიჭოს“.

მეორე სიტყვა პირველმა მინისტრმა ნადიმის დროს წარმოსთქვა. ეს ნადიმი კომბის პატივსაცემლად იყო გამართული. ნადიმს 2 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. კომბმა სთქვა:

„სამინისტროს მეთაურობა იმ აზრით ვიკისრე, რომ რესპუბლიკა კლერიკალიზმისაგან დამეხსნა. მტერს პირდაპირ დავეძგერე, ერთი წამიც არ მოვასვენე, ამოსუნთქვის ნება აღარ მივეცი; თანდათან ყველა სიმაგრეებიდან განვდევნე. ეს სიმაგრეები რესპუბლიკის მტერს დიდხანს ეჭირა წინანდელ მთავრობის დაუდევნელობისა და ბრმა-ყრუობის წყალობით. ეს ბრძოლა დაუნდობელი ბრძოლაა. აქ პრინციპები იბრძვიან და არა კაცები. გადაწყვეტილი მაქვს ეს ბრძოლა ბოლომდე დავასრულო, ვიდრე რესპუბლიკა საბოლოოდ არ დასძლევს კლერიკალიზმს. ისე მტკიცედა მაქვს გადაწყვეტილი ბოლომდე ვიბრძოლო, რომ მტრების ლანძღვას, მუქარასა და ცილისწამებას ყურსაც არ ვუგდებ; ვინც უნდა იყოს ეს მტერი, ეს ჩემთვის სულ ერთია. ჩემთვის სულ ერთია აგრეთვე, თუ რას ჰფიქრობს და რა აზრისაა ჩემზე მტერი. რეაქცია ჩემი მსაჯული როდია. როგორ ვასრულებ ნაკისრ მძიმე მოვალეობას, ეს მარტო ხალხს ეკითხება. ჩემი პოლიტიკის გაკიცხვისა თუ მოწონების უფლება მარტო ხალხსა აქვს. ამიტომ მეც მარტო ჩვენ ხალხს ვეკითხები—და იმის აზრის გაგებას ვცდილობ!“ ამის შემდეგ კომბმა გამოაცხადა, მე და ჩემს ამხანაგ მინისტრებს ყველა მხრიდან თანაგრძნობის წერილები მოგვდის, ხალხის წარმომადგენლები მთავრობის ბრძოლას კლერიკალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ იწონებენო. „ხლხს ჰკუაში არ მოსდის ხრიკები და ანგარებით სავსე გაიძვერაობა; ხალხის აზრით, ყველა რესპუბლიკელი თავდა-პირველად მოვალეა, სამინისტრო მტრებისაგან დაიცვას და ყველა დაპირებულ რეფორმების შესრულება შეაძლებინოს. ხალხი ჰგმობს გადამდგარ, მუხანათ ორ-აზროვან დეპუტატებს, ან კი როგორ არ დაჰგმოს: ამ დეპუტატებს ცალი ფეხი სამინისტროს ბანაკში უდგათ, ცალი კიდევ—რეაქციის ბანაკში.“ პირველმა მინისტრმა სთქვა შემდეგ: რეაქციამ თითქმის ყველგან უარჰყო თავისი ძველი ბაირაღიო: რეაქცია ეხლა აღარც ბონაპარტეს ახსენებს, აღარც ორლეანებს, რეაქცია ეხლა „გალიბერალდა“, მაგრამ რეაქციონერების კავშირი „აქსიონლიბერალ“-ი ვერაფერს გახდა ხალხში. რეაქციონერები მთელი 30 წელიწადი გაფიცრებულნი ებრძოდნენ რესპუბლიკასა და იმის კანონებს და ეხლა უცებ თავისუფლების ქებას მოჰყვნენ. აბა ვინ დაიჯერებდა

ამ ყალბ, ფარისევლურ ქებას! პირველმა მინისტრმა კათოლიკე-სოციალისტებზედაც ილაპარაკა. კომბმა სთქვა:

„ეს სოციალისტები განსვენებულ პაპის ლეონ XIII ენციკლიკაზე, ცნობილ „სილაბუს“-ზე, აფუძნებენ თავიანთ მოძღვრებას. ამავე ენციკლიკამ დაჰგმო ყველაფერი, რაც კი თანამედროვე კაცობრიობის გონებას შეუქმნია, და ამავე დროს ეკკლესიისა და პაპის შეუცდომლობა აღიარა. ამიტომ მეტად საეჭვოდ მიმაჩნია, რომ ამ სოციალიზმმა ბევრი მუშა მიიმხროს. მუშა ხალხს ნამდვილი სოციალური მოძღვრება სწამს და არა პაპის სოციალიზმი. ეს გუშინდელი როიალისტები და ბონაპარტისტები და დღევანდელი ცრუ ლიბერალები სოფელ-სოფელ დადიან და ხელში თავისუფლების ბაირაღს აფრიალებენ. განა მთელს დედამიწის ზურგზე ამაზე უფრო სასაცილო სანახავი კიდევ იქნება რამ? ეს ჩვენებურ ძველ ფულს მაგონებს:—ერთ მხარეზე დაფნის ტოტი იყო დახატული ზედ-წარწერით: „საფრანგეთის რესპუბლიკა“, მეორეზე კიდე—იმპერატორის სურათი ზედ-წარწერით: „იმპერატორი ნაპოლეონი“,—მარტო ის განსხვავებაა, რომ იმპერატორის სახის მაგიერ, ეხლა პაპის ქოშია დახატული. სხვაფრივ კი ძველი ფული და ეხლანდელ „ლიბერალების“ ბაირაღი არაფერში არ დაუვარდებიან ერთმანეთს“. კომბმა იმედი გამოსთქვა, დიდის რევოლიუციის პრინციპების ერთგულ ხალხს ვერც ეს ლიბერალები აუხვევენ თვალებსაო. „ამ ლიბერალიზმმა რომ გაიმარჯვოს, სამოქალაქო საზოგადოებას უსათუოდ ეკკლესიის დაუმორჩილებს და სახალხო მასწავლებელს—სოფლის მღვდელს“. პირველმა მინისტრმა ასე დაასრულა თავისი სიტყვა: „რესპუბლიკა დიდ სარგებლობას აძლევს ხალხსა: მშვიდობიანობასა, კანონიერებასა, საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ თავისუფლებას იცავს. ეხლანდელ სამინისტროს თავის მოვალეობად მიაჩნია, საფრანგეთს ყველა ეს სიკეთე შეანარჩუნოს“.

კომბი რომ ლაპარაკობდა, ხალხი ყოველ წამს ტაშსა სცემდა; როცა გაათავა, მაშინ ხომ ძლიერი ოვაცია გაუმართეს.

იტალია. ტელეგრაფმა შეგვატყობინა, მენოტი გარიბალდი გარდაიცვალაო. განსვენებული განთქმულ გმირ **ჯუზეპე** გარიბალდის უფროსი ვაჟი-შვილი იყო. იმისმა სახელოვანმა მამამ თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლაში გაატარა. მენოტი გარიბალდი 1845 წ. დაიბადა და წამოიზარდა თუ არა, დიდს მონაწილეობას იღებდა თავის მამის ბრძოლასა და ლაშქრობაში. ახალგაზრდა მეომარმა მალე გენერლის ჩინი დაიმსახურა. გარდაცვალებული პალატის დეპუტატადაც იყო არჩეული. ჯერ უკიდურეს მემარცხენეთა პარტიის წევრი იყო, შემდეგში კი ზომიერ მემარცხენეთა პარტიაში გადავიდა. მართალია გამოჩენილი ორატორი არ იყო, მაგრამ მაინც შესამჩნევი გავლენა ჰქონდა პარლამენტში. 1871 წლიდან მენოტი საკუთარ მამულში სცხოვრობდა, ვენახს ახლო, და მეურნეობას მისდევდა.

ახალი ამბავი

◆ მკითხველებს მოეხსენებათ, როგორ გამწვავდა მიწის მფლობელობის საქმე საშაბუროელ **მემამულეთა და გლეხთა შორის**. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთმანეთს საქონელსა სტაცებდნენ, წისქვილებს უწვავდნენ, სცემდნენ ერთმანეთს, სცდებოდნენ მუშაობას, მკას, ხვნა-თესვას და სხვა საქმეს. ადგილობრივი პოლიცია რომ ვერას გახდა, გაჰგზავნეს საგანგებო საქმეთა მოხელე და ტფილისის მაზრის უფროსი, მაგრამ ამათაც ვერა გააწყეს-რა. მორიგება და შეთანხმება მართლაც ძნელი იყო, რადგან გლეხთა და მემამულეთა მიწები ერთმანეთშია არეული და გადახლართული.

15 ივლისს დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გ. ყარანგოზიშვილმა დაიბარა ორივე მხარე და ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ მოარიგა. პირობა დასდეს საშაბუროს მემამულეების—ფავლენიშვილებისა, შაბურიშვილებისა და კეზელის წინაშე დროებით ვალდებულმა, მესაკუთრე და სახელმწიფო გლეხებმა სოფლებ ბაგისა, ნამგლიაანთკარისა, ლაზვიაანთკარისა, ხიდასი, ბუჩააანთკარისა, არჩოეთისა, საკრამულოსი, ყასიმაანთკარისა, რომ ამ მემამულეთა სასარგებლოდ მსხვილ-ფეხა საქონლის საძოვარში ტყესა და მინდვრებში (სულ 1600 დესეტინაზე) იხადონ ერთობ წელიწადში კომლმა ორი მუშა, ამას გარდა თვითეულმა კომლმა გლეხმა მთელის თავის მუშა საქონლით წელიწადში ერთხელ უნდა უშველოს მემამულეთა ერთ-ერთ კომლს. მუშის პურის ჭმევა მემამულისაა. ცხვარზე, რომელ გლეხსაც-კი ეყოლება, 100 სულზე ერთი თუმანი და ერთი ბატკანი უნდა იხადონ. თხასა და ღორზე (100 სულზე)-15 მანეთი. ამ პირობას ორივე მხარემ მეორე დღესვე მოაწერა ხელი.

◆ ტფილისის **შრომის სახლისთვის** მზრუნველმა საზოგადოებამ ორჯელ შუამდგომლობა აღძრა მთავარ კომიტეტთან პეტერბურგში და ითხოვა 15 ათასი მანეთი, 10 ათასი მანეთი—საკუთარ სახლის ასაშენებლად, ხოლო 5 ათასი მანეთი სხვა საჭიროების თვის. კომიტეტმა ეს შუამდგომლობა შეიწყნარა.

◆ გუშინ, ტფილისის საბჭოს ხმოსანმა ს. მირზოევმა ქალაქის გამგეობას გადასცა მოხსენება **ნავთის ვაჭრობის მოწესრიგების** შესახებ. სხვათა შორის, ხმ. მირზოევს საჭიროდ მიაჩნია: ყველა იმათ, ვინც ქალაქში ნავთის საწყობის გამართვას მოისურვებს, გამგეობამ დაუყოვნებლივ ამის ნება უნდა დართოს; გამგეობამ მსურველთ ნება მისცეს გაიყვანონ ნავთის მილები ქუჩებს ქვეშ რკინის გზის სადგურიდან თავიანთ საწყობამდე. მილების თვალ-ყურის გდება უნდა მიენდოს ქალაქის ტეხნიკოსებს და პატრონებს გადასახადი დაედოთ, არა უმეტეს 10 კაპ.; ქალაქის გამგეობამ მოიპოვოს უფლება რკინის გზის გამგეობისაგან, იქონიოს იმდენი ნავთის ვაგონი, რამდენიც საჭიროა ქალაქში ნავთის მხმარებელთათვის. ასეთი უფლება კერძო პირთ აქვთ, მით უმეტეს უნდა მიეცეს იგი ქალაქის თვითმმართველობას; ქალაქის გამგეობის ხარჯით გაკეთდეს ერთი დიდი აუზი, სადაც საჭიროების დროსთვის შეინახება 15,000 ფუთი ნავთი და სხვა.

◆ გუშინ, 19 აგვისტოს, ტფილისის ქალაქის გამგეობაში მოხდა ვაჭრობა **ნაძალადევში ქალაქის მიწების** იჯარით გასაცემად. ვაჭრობას 100 მეტი მსურველი დაესწრო. უმრავლესობა ხელ-მოკლე ხალხი იყო.

◆ გუშინ, 19 აგვისტოს, ტფილისის ხელოსანთა მამასახლისმა რაფაელოვმა სთხოვა ქალაქის მოურავს განკარგულება მოახდინოს, რომ ტფილისის **დედათა საპროფესიონალო სასწავლებელთან** მე-6-ე კლასიც გაიხსნას.

◆ **შავი-ქვა ყაზახის მაზრაშიაც** აღმოუჩენიათ, სოფ. ტაგლოსბეგლის მახლობლად. როგორც „ტფი. ლის“. სწერს, შავი-ქვიანი ადგილი 254 დესეტინაა თურმე.

◆ ტფილისის ხელოსანთა მამასახლისის რაფაელოვის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია ამ დღეებში შეუდგება **პურის მცხობთა** სახელმძღვანელოდ შემუშავებულ სავალდებულო დადგენილებათა პროექტის განხილვას. ეს პროექტი შემდეგ ტფილისის გუბერნატორს წარედგინება.

◆ წინადაც ვწერდით, რომ **სიღნაღის განაპირა უბნების** სახლის პატრონნი ძალიან უჩივიან ქალაქის თვით-მმართველობას უძრავ ქონებაზე დიდ დასაფასებელ გადასახადის გაწერისთვისაო. ეხლა მცხოვრებთ ამის შესახებ საერთო საჩივარი გამოუგზავნიათ ტფილისის გუბერნატორისთვის.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას ნ. პ. კოკჩაევმა წარუდგინა მოხსენება იმის შესახებ, თუ 1904 წელს როგორ უნდა განაწილდეს **სატრაქტირო დაწესებულებებზე** გადასახადი. გამგეობამ დაადგინა: 1904 წელს სატრაქტირო გადასახადი გააწეროს 60,900 მანეთი; სთხოვოს ნებართვა საბჭოს, რომ ქალაქის გამგეობამ თავის ნებით აირჩიოს სატრაქტირო გადასახადის გამწერი კომისია იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი 20 მეტი იქნება, თუ არა, ხარჯს გააწერს თვით ქალაქის გამგეობა; ტრაქტირებისა, დუქნებისა და სარდაფების ხარჯის ამკრებ კომისიაში არჩეულ იქნას 40 კაცი, ხოლო დანარჩენ დაწესებულებისაში—20 კაცი; დაწესდეს, რომ ხარჯი ოთხჯერად გადაიხადონ ხოლმე, სამ თვეში ერთხელ.

◆ **მომრიგებელ მოსამართლეებად ბორჩალოს მაზრაში**, სხვათა შორის, დაინიშნენ სამსახურს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი ველი-აღა ტობჩიევი და მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლა დამთავრებული მიხ. ენიკოლოფოვი.

◆ როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, სპარსეთში მომკვდარა დიდად ცნობილი **კავკასიელი ყაჩაღი ქიარიმი**. ქიარიმა ყაჩაღად გავარდა 1885 წელს და სამი წელიწადი ყაჩაღობდა. 1887 წელს სპარსეთში გადავიდა, იქ სახელმწიფო სამსახურში შევიდა და მშვიდობიან ცხოვრებას მიეცა. ქიარიმა ესე 40—43 წლისა იქნებოდა. რუსული გაზეთები სწერენ, ყაჩაღობის დროს ქიარიმამ 120 კაცი მოჰკლაო. ეს ამბავი ძალიან გაზვიადებულია.

◆ 18 აგვისტოს მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა მიიღო მიწათ მოქმედების დეპარტამენტისაგან 100 ცალი იმ ინსტრუქციისა, რომლითაც ამ სამინისტროს დაწესებულებათა მოხელეებმა უნდა იხელმძღვანელონ კავკასიაში **მიწების გამიჯვნის დროს**.

◆ **კავკასიის გრენადერთა დივიზიის** შტაბმა მიწათ-მოქმედების სამინისტროს სთხოვა, ტფილისის მე-15 გრენადერთა რაზმს სამუდამოდ დაეთმოს ის ადგილი ავლაბარში, რომელიც ეხლა უჭირავს.

◆ კავკასიის **სამოსწავლო ოლქის მზრუნველს** ტფილისში მოელიან დღეს, 20 აგვისტოს.

◆ გორის საკრებულო ტაძართან არსებული ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა **ორ-კლასიანად გადააკეთეს**.

◆ გუშინ, 19 აგვისტოს, კავკასიის გრენადერთა დივიზიის შტაბმა აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რადგან 20 აგვისტოდან ალექსანდერდორფის კოლონიასთან დაბანაკებულ ჯარის სროლები დაიწყება, საჭიროა ამ ბანაკსა და ქალაქ შუა მიმოსვლელ გზებზე ყარაული დაწესდესო.

◆ მატარძეულის მამასახლისი თოარშვილი პასუხისგებაში, სხვათა შორის, იმისთვისაც მიუციათ, რომ, როგორც მაზრის უფროსის გამოძიებამ აღმოაჩინა, საზოგადო ფული გაუფლანგავს.

◆ ტფილისის მაზრის უფროსი ორის კვირით სამსახურს დაეთხოვა. იმის თანამდებობის აღსრულება მიენდო უფროს თანაშემწეს ბ-ნ ვოზნესენსკის.

◆ პუშკინის ქუჩაზე, გურგენოვის სახლში მცხოვრებ არშაკ ათანასოვს 17 აგვისტოს ჩხუბი მოსვლია ტფილისის მოქალაქე ხაჩატურ სააკოვთან. ჩხუბის დროს ათანასოვს ბებუთით მარცხენა გვერდში დაუჭრია საკოვი. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. დამნაშავე დააპატიმრეს.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, ლაზარევის ქუჩაზე, არუთინოვის სახლში, ტფილისის მოქალაქეთ მიკირტიჩ აკოფოვსა და ტიგრან არუთინოვს ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც აკოფოვს ბებუთით მძიმედ დაუჭრია გულში ტიგრან არუთინოვი. არუთინოვი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ 7 აგვისტოს სოფ. კარიაულთკართან (დუშეთის მაზრა), როგორც გვატყობინებენ, ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს მერვე მსროლელთა ბატალიონის ჯარის კაცი, გვარად პოლუკაროვი.

რუსეთის ქრონიკა

„პრიდნეპრ. კრაი“-ში დაბეჭდილია ეკატერინოსლავის გუბერნატორის შემდეგი განცხადება: რადგან ეკატერინოსლავში 7 აგვისტოს არეულობა მოხდა, საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ყოველნაირ საშუალებას ვი-

ფელეტონი

განათლებული პროლეტარიატი ევროპაში

ამ ბოლო დროს ევროპაში ისე გაჭირდა ცხოვრება, ისე გაიზარდა მეტოქობა, რომ თვით უმაღლესს სასწავლებლის დიპლომიც-კი ვეღარას შველის პატრონს. წლითი-წლობით იზრდება იმათი რიცხვი, ვისაც განათლება მიუღიათ, ცოდნა შეუძენიათ, მაგრამ ამ ცოდნის გასაღება ვერსად მოუხერხებიათ. იურისტები, ექიმები, ინჟენერები, ჟურნალისტები, მხატვრები, არტისტები—აი ისინი, რომელნიც საოცარის სისწრაფით ამრავლებენ განათლებულ პროლეტარიატის რაზმებს. ამ პროლეტარიატის შესახებ ფრანგ მწერალს ანრი ბერანჟეს საყურადღებო ცნობები მოუთავსებია ერთ ჟურნალში.

ყოველ წელიწადს აუარებელი ყმაწვილი კაცი ათავებს უმაღლესს სასწავლებლებს და ამათგან მესამედი ძლივს შოულობს იაფფასიან ადგილს. საფრანგეთში მომრიგებელი მოსამართლენი ყველანი უფლებათა დოქტორები არიან და, აი, ეს მოხელენი, უფლებათა დოქტორები, წელიწადში იღებენ 600-დან 1000 მანეთამდე. ვექილები უარეს ყოფაში არიან. არის, რასაკვირველია, ყველა ქალაქში ორიოდე ცნობილი ვექილი. სახელიც დიდი აქვთ ამათ, ფულიც ბლომად მოეპოვებათ და ცხოვრებითაც განცხრომით სცხოვრობენ. მაგრამ ამ ყოფაში ორიოდეა მხოლოდ. დიდი უმრავლესობა სულს ძლივს იბრუნებს და დღიურ სარჩოს გამწარებული დაეძებს. ასეთი ვექილები ვაივაგლახით იღებენ 300, 400, 500, 600 მანეთს. ბევრი ვექილი ხუთისა და ექვსის წლის წვალების შემდეგ თავისუფალ პროფესიას თავს ანებებს და ამა თუ იმ დაწესებულებაში შედის უბრალო მწერლად. მართალია, აქაც 500—600 მანეთზე მეტი არ ექმნება, მაგრამ გადაწყვეტილ ჯამაგირს ეხარბება.

შორს ვერც მასწავლებელნი წავიდნენ. კოლეგიის მასწავლებელი, რომელიც უმაღლესის ცოდნით არის აღჭურვილი, იღებს წელიწადში 700 დან 1000 მანეთამდე, ლიცეის მასწავლებელი—1200-დან 1700 მანეთამდე. მასწავლებლის თანაშემწეს კოლეგიაში ეძლევა 1000 მანეთი, ხშირად ნაკლებიც. სახალხო სკოლის მასწავლებელი საფრანგეთში 180,000-ია. აქედან 100 ათასს კაცს მეტად მცირე სასყიდელი ეძლევა, ასე რომ მუდამ ღარიბად და გაჭირვებით სცხოვრობს. თუმცა ასეა, მაგრამ ადგილის მთხოვნელი მაინც ყოველთვის უთვალავია. ყოველ განთავისუფლებულ ადგილზე ორთა შუა რიცხვით 500 კაცს შეაქვს თხოვნა.

სახელმწიფო დაწესებულებებსა, სამრეწველო საზოგადოებებსა და რკინის გზის გამგეობებში ფეხს ვერ აუქცევთ ყმაწვილ კაცებს, რომელთაც უმაღლესი სატეხნიკო განათლება მიუღიათ და ადგილებს დაეძებენ. ეს ინჟენერები, ტეხნიკოსები, ხუროთ-მოძღვრები და სხვანი 400—500 მანეთიან ადგილებზე ერთმანეთს ეცილებიან. საფრანგეთის უმაღლესს სატეხნიკო სკოლებში ყოველ წელიწადს 800—900 ინჟენერი ათავებს სწავლას. აქედან ადგილის ღირსი მხოლოდ მცირე ნაწილი ხდება. ამ მცირე ნაწილიდანაც თვითეულის სასყიდელი უფროს მუშის სასყიდელს არ აღემატება.

აღარას ვამბობთ ექიმების შესახებ, რომელთა დიდ უმრავლესობას უკიდურეს სიღარიბისთვის ვერ დაუღწევია თავი.

ასევეა გერმანიასა, ავსტრიასა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში. განათლებულმა პროლეტარიატმა ყველგან ღრმად გაიდგა ფესვები. ბერანჟეს ზემოხსენებულმა წერილმა მთელის გერმანიის ჟურნალ-გაზეთობის ყურადღება მიიქცია. იქაც გადაავლეს თვალი და დარწმუნდნენ, რომ თავისუფალ პროფესიის წარმომადგენელნი ნაკლებ არ არიან გაჭირვებულნი. სამწუხაროდ, სწერს ერთი გერმანული გაზეთი, ამ საქმის სტატისტიკა ვერა გვაქვს კარგად მოწყობილი და დანამდვილებით არ ვიცით გაჭირვებულთა რიცხვიო. გერმანიის უნივერსიტეტებში 40 ათას ყმაწვილ კაცამდეა. ეს რიცხვი წლითი-წლობით იზრდება. სტუდენტთა უმრავლესობა, რასაკვირველია, მარტო მეცნიერებისთვის არ შედის უნივერსიტეტში. ბევრს აზრად ისიცა აქვს, რომ თავისი ღარიბი ცხოვრება უკეთ მოაწყოს. მაგრამ ძალიან ხშირად ეს იმედი იმედადა რჩება და სტუდენტი სწავლის გათავების შემდეგაც ისევე ღარიბად სცხოვრობს, როგორც გათავებამდე სცხოვრობდა. გერმანიაში, განაგრძობს ზემოხსენებული გაზეთი, ძალიან ბევრსა სწერენ ხელოსანთა გაჭირვების შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ გერმანიაში განათლებულ კლასთა წარმომადგენელნი უფრო გაჭირვებულად სცხოვრობენ, ვიდრე ხელოსანნიო.

ამ გაზეთს თუ დავუჯერებთ, დიდ სასტუმროებისა და რესტორანების ლაქიები უფრო უზრუნველ-ყოფილნი არიან ქონებრივად, ვიდრე აკადემიკოსები და პროფესორები. ხელოსანს მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე უმაღლესს კლასის განათლებულ წარმომადგენელს. ასეა საქმე, მაგრამ ყველა მაინც იმასა სცდილობს, რომ „უმაღლესი“ გახდეს. საზოგადოებაში გაბატონებულია ცრუ აზრი

ხმარ, რათა ბოლო მოვუღო უწესოებას, თუ კიდევ განმეორდა იგი. გამოვიწვევ ჯარს, რომელიც იარაღს იხმარს. ვაფრთხილებ ქ. ეკატერინოსლავის მკვიდრთ, ერიდონ ცნობის-მოყვარეობას, ნუ გამოვლენ ქუჩებში ამის საყურებლად, რათა უდანაშაულოდ არეულობის მსხვერპლად არ გაჰხდნენ. არეულობაში მონაწილენი დასჯილნი იქმნებიან ჩემგან უკვე გამოცხადებულის წესით. გარეშე პირთ, ვინც უნდა იყვნენ ისინი, არა აქვთ უფლება პოლიციის საქმეში გაერიონ. ვაცხადებ ქალაქის ყველა ქარხნების, ამურისა და ნიჟნედნეპროვსკის ქარხნების და რკინის გზების სახელოსნოების მუშების საყურადღებოდ, რომ მუშაობა დაიწყება ყველგან 11 აგვისტოს დილას. უკვე ზომები მივიღე, რომ ძალ-მომრეობით მუშაობის მოსპობა აღარ განმეორდეს. დამნაშავენი დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ იქმნებიან და შორს გუბერნიებში გაიგზავნებიან პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

◆ 8 აგვისტოს ეკატერინოსლავში ჩამოვიდა ოდესის ოლქის ჯარების უფროსი გრაფი მუსინ-პუშკინი და ყაზახთა ორი რაზმი.

◆ ბესარაბიის გუბერნიის ქ. კილიში კინაღამ თავს არ დაესხა ებრაელებს გაშმაგებული ბრბო. ადგილობრივმა ჯარმა დაიცვა ებრაელები და გაჰფანტა ხალხი.

◆ პეტერბურგის საბჭოს ხმოსანს შულცს საბჭოში წინადადება შეუტანია ცხენის რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

◆ უმაღლესად დამტკიცებული კომისია, რომელიც ადგილობრივ გზების შესახებ საკითხის განხილვას ადგია, ამ მოკლე ხანში დაასრულებს მუშაობას. კერძო საბჭოს აზრით, საგზაო თანხას ერობანი უნდა განაგებდნენ, ეს თანხა საგუბერნიო საერობო კრების დადგენილებით უნდა განაწილდეს საგუბერნიო და სამაზრო ერობათა შორის. ამ საქმის გასაცხოველებლად საჭიროა ადგილობრივ მკვიდრთა მოწვევა, საგზაო სამზრუნველოთა დაწესება, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ხალხიო. საბჭოს აზრით, საყურადღებო საკითხი გზათა შესახებ უნდა გადაეცეს ერობათ განსახილველად, რადგან მას ერობათა მოღვაწეობასთან მტკიცე კავშირი აქვსო.

◆ გამოცხადებულ სტატისტიკურ ცნობებიდანა სჩანს, რომ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე რუსეთიდან საზღვარ-გარედ წასულა 86,902 და დაბრუნებულა რუსეთში 57,598 რუსეთის ქვეშევრდომი, ამავე დროს შემოსულა რუსეთში 118,993 და წასულა საზღვარ-გარედ 79,917 უცხოელი.

პრესსა

ამურის სამხედრო სასამართლოს პროკურორმა პოლკოვნიკმა ლატერნერმა მიმართა გაზ. „ნოვ. ვრ."-ს წერილით, რომელშიაც მოთხრობილი აქვს, თუ რა სატანჯველი გამოიარა მან თავის ოჯახობით სადგ. მანჯურიის დამოჟნაში. პოლკოვნიკის მეუღლეზე ეჭვი მიუტანიათ, ფართო კაბა აცვია და, ალბად, მის ქვეშ რაღაც დაუმალავსო, ცალკე ოთახში გაუწვევიათ და გაუტიტვლებიათ. პროკურორის ბარგი აუწეწ-დაუწეწიათ და ამ დროს პროკურორს ერთი ძვირფასი ჩემოდანი დაჰკარგვია. პროკურორის პატარა შვილებიც ვერ გადურჩნენ თურმე დამოჟნის მოხელეთ. ბავშვების სათამაშო ტიკინებისთვის თავი წაუგლეჯიათ ამ არგუსებს, შიგ ხომ არაფერი ინახებაო. ამ ამბის შესახებ „ნოვ. ვრ."-ში შემდეგი წერილია მოთავსებული.

ვინც საზღვარ-გარედ წასულა რუსეთიდან, ეცოდინება, რომ საზღვარზე რუსეთის დამოჟნის მოხელეები ისე უყურებენ ყველა მგზავრებს, როგორც ქურდებსა და კონტრაბანდისტებს. იმათ თვალში თქვენ სამშობლოს მოღალატე ხართ, ყოველნაირი საშუალებით სცდილობთ, მთავრობა მოატყუოთ, ჩუმად გააპაროთ რამე და სამშობლო მრეწველობა გააკოტროთ.

თქვენ ნივთებს სასტიკად დასუნავს ხოლმე დამოჟნის მოხელე, თქვენ ზანდუკებსა და ჩემოდნებს აათვალიერებს, თავიდან ფეხამდის იჭვის თვალით გაგშინჯავს იმ მახეში დამწყვდეულს, რომელსაც სადამოჟნო ზალას უძახიან.

აი ვიღაც მგზავრი ქალი დარბის შეწუხებული თავის ბავშვით, რომელსაც კარში გასვლა უნდა, მაგრამ ამაოდ. სადამოჟნო მოხელეები არ გაუშვებენ, სანამ თავის წმინდა მოვალეობას არ აასრულებენ. რანაირად უნდა გაუშვან! ცხადია, რომ ეს ბავშვი მუცლის ტკივილს იგონებს, რომ მოხელეთ თავისი პაწია კაბის ქვეშ დიდი და ძვირფასი კონტრაბანდა გააპაროს.

თქვენ ცოლს და ქალიშვილს, სამშობლო მრეწველობის მოსისხლე მტრებს, ცალკე ოთახში გაიწვევენ და კაბას გახდიან კონტრაბანდის აღმოსაჩენად.

მერე რა შედეგი აქვს ყველა ამ სავაგლახო წესებს? ხალხს სტანჯავთ და ჩვენს მრეწველობას კი ამით ვერაფერ ხეირს ვერ ვაყრით. სასტიკზე უსასტიკესი წესებია შემოღებული ჩვენს საზღვრებზე დამოჟნებში, კონტრაბანდა კი ამ საშინელ დამოჟნებს ერიდება და სხვანაირი ფარულის გზებით მრავლად შემოდის ჩვენს სამშობლოში. ვინც საზღვარ-გარედ ყოფილა, ეცოდინება, რომ იქაურ დამოჟნებში სულ განსხვავებული წესებია. იქ კარგად იციან ვის უნდა ადევნონ თვალ-ყური. სადამოჟნო ზედამხედველობა მგზავრებზე იქ მხოლოდ მსუბუქი ფორმაა; და ამ დროს უცხოეთის მრეწველობა დღითი-დღე იზრდება. ჩვენში კი იგი კონტრაბანდისტ ბავშვებისაგან და უმანკო ქალწულებისაგან დაჩაგრული სულ ქვეით ქვეით მიდის

⁂

10 აგვისტოს გაზ. „პრიდნეპრ. კრაი"-ს მხოლოდ ნახევარი ნომერი გამოვიდა, რომელშიაც მოთავსებულია გუბერნატორის განცხადება ქალაქში მომხდარ არეულობის შესახებ და შემდეგი წერილი გაზეთის რედაქტორის ბუხოვეცკისა.

არა მაქვს უფლება დავუმალო მკითხველებს ის ამბავი, რომელიც ქ. ეკატერინოსლავში მოხდა. ძალიან სამწუხარო დრო დაგვიდგა. განმეორდა ის, რაც მოხდა ოდესსაში, ნიკოლაევში და კიევში. განა შეიძლება დავფაროთ ის ამბავი, რომელიც დიდი ქალაქის 150 ათასმა მკვიდრმა იცის, და სასურველიც არის ამისთანა შემთხვევაში სიმართლის გამოაშკარავება.

გუშინ მინდოდა დამებეჭდნა ჩემს გაზეთში ნამდვილი ამბავი, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ ავასრულე ეს განზრახვა.

დღეს კი ყველაფერი უნდა მოგითხროთ, მით უმეტეს, რომ უკვე გუბერნატორის ბძანებაა გამოცხადებული ეკატერინოსლავში მომხდარ არეულობის შესახებ.

ჩვენც გვეწვია ის სენი, რომელიც ამ ბოლო დროს მოედვა სამხრეთ რუსეთს. მისი ნიშნებიც სწორედ იმნაირია, როგორც ყველგან სხვა ადგილებში. აგიტატორების ბრბო დადიოდა ქარხნებსა და სახელოსნოებში მუშათა შორის და ძალდატანებით აწყვეტინებდა იმათ მუშაობას. ქუჩებში იკრიბებოდა მრავალი ხალხი, კაცი და ქალი, რაღაც მანიფესტაციების გასამართავად, მაგრამ პოლიციამ დროზე გაჰფანტა ისინი. რამდენსამე ადგილას, სადაც შეკრებილი ხალხი არ დაიშალა იძულებულნი იყვნენ ჯარი გამოეყვანათ. ერთ ქუჩაში ჯარმა იარაღი იხმარა. ოფიციალურად გამოცხადებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ამ შეტაკების დროს მოკლულ იქნა 11 კაცი და დაიჭრა 12.

ეს ამბავი არეულობის პირველ დღეს მოხდა. მეორე დღეს, 8 აგვისტოს, მხოლოდ ქალაქის ბაღთან შეიკრიბა ხალხი, რომელიც დაუყოვნებლივ გაჰფანტა პოლიციამ.

გუშინ, ამ წერილს რომ ვსწერდი, ქალაქი დამშვიდებული იყო, მხოლოდ ქუჩებში არ ყოფილა წინანდელი მოძრაობა, ელექტრონის ტრამვაი მუშაობს, ელექტრონის განათებაც არის ახლა. ტრამვაის მოძრაობა 8 აგვისტოს მოისპო.

ქარხნები ქალაქში, ნიჟნედნეპროვსკში და ამურში გაჩერებულია, სტამბებში მუშაობა შესწყდა. სახელოსნოებში კი მუშაობენ, მუშაობენ აგრეთვე პურის საცხობებში და პურის ფასი ისევ ძველი არის.

ქალაქში დაყენებულია ქვეითი ჯარის ოთხი პოლკი, ერთი ყაზახთა პოლკი და არტილერიის ბრიგადა.

მუშაობის მოსპობა ეკონომიური მიზეზით არ არის გამოწვეული. მაგალითად, ბრიანსკის ქარხნებშიაც გაჩერებულია, იქ კი მუშები უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე სხვა ქარხნებში.

ცხადია, რომ ეს უწესოება ხელოვნურადაა გამართული, შედეგია აგიტატორების პროპაგანდისა, რომელთაც სხვაგანაც მოახდინეს ამგვარი არეულობა.

ეს აგიტატორები ჩვენ საზღვარ-გარეთელ მტრების ფულით არიან მოსყიდულნი და სარგებლობენ აგრეთვე ჩვენის ახალთაობის გულუბრყვილობით, რომელიც უჯერებს იმათ, ჰფიქრობს, რომ ისინი უანგაროდ ემსახურებიან იდეას.

თეატრი

წინანდალი (კახეთი). 10 აგვისტოს თელავიდან ჩამოვიდნენ სცენის მოყვარენი და წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს „არსენა". სცენის მოყვარეთ ეტყობოდათ უგულოდ მოეპყრობოდნენ თავიანთ როლებს და ამის გამო პიესამ სუსტად ჩაიარა. სირაჯმა-კი ბევრი აცინა დამსწრენი. ხალხი ნაკლებად დაესწრო.

იყალთო (კახეთი). 13 აგვისტოს გამართა წარმოდგენა ნ. გაბუნია-ცაგარლის, გ. გამყრელიძის და დ. აწყურელის მონაწილეობით. ითამაშეს „დაქცეული ოჯახი" სუნდუკიანცისა და „დედის ერთა" გუნიასი. ამ საღამოთი კარგა ხალხი დაესწრო, ბევრი თელავიდანაც იყო. რაღა თქმა უნდა, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

წერილი თელავიდან

ავადმყოფობა.—წყალდიდობა.

არ ვიცი, სიცხის ბრალია (10 აგვისტომდე თელავში ძალიან ცხელოდა, მერე-კი წვიმა მოვიდა და ცოტა აგრილდა) თუ ხილის, რომელიც უხვადაა, მხოლოდ ავადმყოფობა კი გახშირებულია. როგორც გადმომცეს, აქაურ აფთიაქში დღეში 50—60 ხან მეტ რეცეპტს იღებენ თურმე ავადმყოფთაგან. აფთიაქის მაღაზიიდან კერძოდ წამლების გატანა კიდევ სხვაა. თელავში სამი ექიმია, რომელნიც ავადმყოფთ იღებენ. მეოთხეც, ყოფილი მაზრის ექიმი, ამ ზაფხულს ჩამოვიდა და ბლომა ხალხიც მიიზიდა.

დიახ, ამ თვის პირველ რიცხვებში საგრძნობლად ცხელოდა. საკმარისი ერთი ორი კვირა დარი დაიჭიროს, რომ თელავის ქუჩები მტვრით აივსოს. უმთავრეს ქუჩებში ხომ მოძრაობის დროს ისეთი მტვერ-ბუქი დგება ხოლმე, რომ ადამიანის გავლა შეუძლებელია. კარგი იქნება ზოგი ქუჩა მაინც მორწყონ ხოლმე, მით უმეტეს, რომ მოსარწყავი მანქანა აქვს თვითმმართველობას. ისეთი ავდარი-კი, როგორც 13 აგვისტოს იყო, სასურველი არ არის. რაც ქუჩებს არ გააფუჭებს და წარეცხ-დახრამავს, სარგებლობას არაფერს მოიტანს. რაც ჩვენმა „მუნიციპალიტეტმა" რიყეში გალავანი გააკეთა და მოედანი მოამზადა დუქნების ასაშენებლად, რის გამოც იმ ადგილას ხევის კალაპოტი შესამჩნევად შევიწროვდა, მას შემდეგ თითქოს განგებ ბევრი წყალი აწუხებს და ზარალს აყენებს მცხოვრებლებს...

21 ივნისს წყალ-დიდობისაგან დაქცეული გალავანი ძლივს შეაკეთეს და არშინზე მაღლა აიყვანეს. ჯერ წაღებული ადგილიც არ გაეწმინდათ, რომ 13 აგვისტოს ხელ მეორედ ესტუმრა წყალი. თავში დიდი წვიმა ყოფილიყო და რიყეს წყალი ბლომად მოაწყდა. რიყის ჩავლება, დუქნების წინ, არავითარი სიმაგრე არ არის, რომ წყალი გზას აცდეს, ქვემოდ კი კარგა მანძილზე მკვიდრი სიმაგრე გაკეთებული თვით მემამულეების მიერ. ამ დღეს ადიდებული ხევი ზემოდან გადმოვარდა, სიმაგრეებს უკან ჩაუარა, მიაწყდა დუქნებს, წყალი შიგ შევარდა, საძირკველი გამოუთხარა და რომ წყლის მიმდინარეობა ასე გაგრძელებულიყო, უეჭველად დუქნებს დააქცევდა. მაგრამ დიდით წვიმა გადაიღო და წყალიც შესდგა. ამას გარდა ზემოდან, დუქნებ წინ მომდინარე წყალი კალაპოტს ასცდა. ამ წყალმა უბანზე დაიდგა გზა და ეზოებში შევარდა, ერთი ბოსანი დაანგრია და თვით გზასაც გზის ნასახობა აღარ ეტყობა. ხიდთან კალაპოტის სივიწროვისა გამო იმდენ ქვას აგროვებს, რომ წყლის გასავალს ავსებს და მაღლა გადმოდის ხოლმე. ხიდიც დაძველდა, კოჭები დაულპა და ჩაიზნიქა; საცოდავად გვერდზე დადრეკილი გამოიყურება და თხოულობს ახლის გაკეთებას.

მეორე დღეს დიდი აყალ-მაყალი ჰქონდათ ქვემო უბნელებს, ზემოდ რომ გამაგრებული ყოფილიყო წყალი, აგვცდებოდათ. თელავის თვით-

---

პატიოსნებასა და განათლებაზე. ბევრი ამ აზრის გამო შიმშილსაც ითმენს და წყურვილსაც.

შარლოტენბურგის პოლიტეხნიკუმში პროფესორს კამმერერს საინტერესო სიტყვა წარმოუთქვამს სწავლების დაწყებისას. დიდად სამწუხაროა, უთქვამს პროფესორს, რომ დღევანდელი სკოლა არავითარ ხელ-საქმესა და ხელოსნობას არ ასწავლის მოწაფეებს. სკოლა ამზადებს ყმაწვილ-კაცებს თავისუფალ პროფესიებისათვის. ისე გამრავლდნენ ამ პროფესიის წარმომადგენელნი, რომ იმათი რიცხვი ერთი სამად და ოთხად აღემატება მოთხოვნილებას. ამავე დროს კი სამრეწველოებისა და სახელოსნოებისთვის სანთლით დაეძებენ განათლებულ მუშებსაო.

გერმანიაში სხვებზე უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ექიმები არიან. ბერლინში, როგორც სტატისტიკო გამოკვლევამ აღმოაჩინა, ექიმთა 30 პროცენტი პრაქტიკით იღებს 1500 მანეთს, 5 პროცენტი—525 მანეთს, 16 პროცენტი—500-დან 1050 მანეთამდე. ეს ისეთი შემოსავალია, რომელსაც გერმანიაში არც ერთი უფროსი მუშა ან ხელოსანი არ დასჯერდება. ამდენს და ამაზე მეტსაც იღებენ ქარგლები ბერლინის ქარხნებში და კალატოზები.

მაგრამ არსად ექიმებს ისე არ გასჭირებიათ ცხოვრება, როგორც ავსტრიაში. შარშან თუ შარშანწინ ავსტრიელი ექიმები გაიფიცნენ კიდეც მუშათა ეგრედ წოდებულ საავადმყოფოს კასსების წინააღმდეგ. მუშათა ორგანიზაციებს ავსტრიაში, განსაკუთრებით ვენაში, საავადმყოფოს კასსები აქვთ. ამ ფულით აარსებენ საავადმყოფოებს, იჭერენ ექიმებს და სხვა. ერთი საავადმყოფო და ერთი ექიმი ხშირად რამდენსამე ასს კაცს ემსახურება. მუშები და ხელოსნები კერძო ექიმების ნაცვლად ყოველთვის ამ საავადმყოფოში მიდიან სამკურნალოდ. ავსტრიის ექიმები ამ გარემოებამ გააბრაზა. აუარებელი მუშა ხალხი საავადმყოფოებში მიდის და ჩვენ მუშტარი გვაკლდებაო, გაიძახოდნენ და გაიძახიან დღესაც ექიმები. ერთის სიტყვით, ეს ექიმი საამხანაგო საავადმყოფოების გაუქმებას თხოულობენ. რაღა თქმა უნდა, თანამგრძნობელი ბევრი არავინ აღმოუჩნდა ექიმებს. მაგრამ ის ფაქტი, რომ ბევრი ექიმი თითქმის მშიერია, მაინც ფაქტადა რჩება.

წინად ავსტრიის ახალგაზრდობა ყველაზე მეტად სამკურნალო ფაკულტეტებს ეტანებოდა. 1877-78 წ. ავსტრიის უნივერსიტეტთა სამკურნალო ფაკულტეტებზე 1,267 მოსწავლე იყო, 1889 წელს-კი 5,277 მოსწავლე. მაგრამ ამ წლიდან სტუდენტ-მკურნალთა რიცხვი საოცრად კლებულობს და 1902-3 წელს ეს რიცხვი 2,120-მდე ჩამოვიდა. აშკარაა, ახალგაზრდობამ დაინახა, რომ ექიმობა სარფა არ არის და მოერიდა სამკურნალო ფაკულტეტს. სულ ავსტრიაში 17,700 ექიმია. ეს რიცხვი ავსტრიისათვის დიდი არ არის. მაგრამ მაგარი ისაა, რომ ავსტრიის მცხოვრებთა ერთი მესამედი უექიმოდაც იოლად გამოდის, ე. ი. სიღარიბისა თუ სხვა მიზეზის გამო ამ მესამედს ექიმი ვერ მიუწვევია ავსტრიაში დღეს 20,000 ისეთი თემია, რომელთაც საკუთარი ექიმი არა ჰყავთ. აშკარაა, ქონება რომ უფრო თანასწორად იყოს განაწილებული და სოფლად ისეთი გაჭირვება არ იყოს, როგორიც დღესაა, ავსტრიის ექიმები ტირილსა და გოდებას აღარ მიეცემოდნენ. პირიქით, 17,700 ექიმი მოთხოვნილებას ვერც-კი აუვიდოდა.

ექიმებთან ერთად გამრავლდნენ ჟურნალისტები, მხატვრები, არტისტები. პარიზში იმ ლიტერატორს, ჟურნალისტს, რომელსაც სახელი აქვს (რასაკვირველია, არა ძალიან დიდი), შეუძლიან აიღოს წელიწადში 1000-დან 2000 მანეთამდე. ნიჭიერსა და მთელს ევროპაში ცნობილ პოეტს სულლი-პრუდონს არასოდეს თავის ლექსებით წელიწადში 1500 მანეთზე მეტი არ აუღია. მემუსიკენი ამდენსაც ვერ იღებენ. პარიზში ჟურნალისტთა ორი საზოგადოებაა: „რესპუბლიკელ ჟურნალისტთა ასოციაცია" და „პარიზელ ჟურნალისტთა საზოგადოება". პირველში ამ ჟამად 372 წევრია, აქედან 134 წევრს ადგილი არა აქვს, მეორეში 296 წევრია და აქედან 96 უადგილოდ დაიარება. ამ უადგილოებს ზოგჯერ ლუკმა პურიც არ მოეპოვებათ.

ჟურნალისტებზე უფრო ღარიბად სცხოვრობენ მხატვრები, მექანდაკენი, ხუროთმოძღვარნი. მარტო მხატვარი საფრანგეთში 22,000 კაცი და ქალია. ესენი დიდძალ ნახატებსა და სურათებს ამზადებენ, მუშტარი კი მეასედსაც არა ჰყავს. საჭიროა რამდენიმე მილიონი მანეთი, რომ ეს მხატვარნი უზრუნველ ჰყონ. ყველანი პირველ ხანს ცას ებღაუჭებიან, რაფაელობას და მიქელ-ანჯელობას სცდილობენ, მაგრამ მალე გაჭირვება ოცნების ფრთებს აკვეცავს. პარიზში საკომისიო სააგენტოებია. აი, ამ სააგენტოებში შოულობენ ორიოდე გროშს ის ფრთა ჩამოყრილი მხატვრები, რომელნიც ოცნებობდნენ რაფაელის მხარში ამოდგომას. თავიანთი სურათები ამ მხატვრებს სააგენტოებში მიაქვთ, სადაც თითო სურათი 1, 2, 3, და 4 მანეთად იყიდება. სააგენტო სურათის გაყიდვის შემდეგ მხატვარს აძლევს 50 კ.—1 მან. 50 კაპეიკამდე. ხარჯს (მასალა და სხვა თუ გამოვაკლებთ, მხატვარს დარჩება 30—50 კაპეიკამდე. ასეთ სურათს მხატვარი დღეში ოთხს ძლივს დაამზადებს, ამ რიგად აიღებს დღეში 1 მან. 20 კაპ.—2 მანეთს.

ასეთსავე მდგომარეობაშია არტისტთა და მომღერალთა უმრავლესობა.

მე—ა.

მმართველობას ემდურებოდნენ, ყურადღებას არ გვაქცევსო. ამის შესახებ ერთმა მემამულემ ქაღალდი მისცა მაზრის უფროსს, სთხოვა ზემოდ ნაპირების გამაგრება, თორემ თუ რიყე კიდევ ადიდდა, 8—9 ათასს მანეთის ზარალს მომაყენებსო. ამ ზაფხულს კარგა ნესვ-ყარფუზი შემოდის თელავში, მაგრამ შედარებით ძვირად იყიდება.

დიმიტრაშვილი.

წერილი იმერეთიდან

მოუსავლობა.—ხილის სიმრავლე.

იმერეთი განთქმული იყო ღვინით და სიმინდით. ღვინის მოსავალი აგერ რამდენიმე წელიწადია მოისპო. ფილოქსერამ მუსრი გაავლო ვენახებს. დარჩა სიმინდი. საუბედუროდ, სიმინდის მოსავალმაც უღალატა იმერლებს: ხშირმა წვიმებმა, უამინდობამ, ახალმა სენმა სიმინდის მოსავალი თითქმის გაანადგურა. თუ წინად გლეხს 1000 ფუთი სიმინდი მოსდიოდა, დღეს ორჯელ მეტის შრომის შემდეგ 500 ფუთიც ძლივს მოსდის. ამით უნდა გაუძლოს გლეხი ყოველგვარ ხარჯს და გამოჰკვებოს ცოლ-შვილი. მხედველობაში იქონიეთ, რომ ის ოჯახი, რომელსაც 500 ფუთი სიმინდი მოსდის, მდიდარ ოჯახად ითვლება. სწუხან მცხოვრებნი ნამეტნავად წელს, რადგან სიმინდის მოსავალს მცირეს მოელიან. მომეტებულ წვიმების წყალობით სიმინდი ბალახად არის გადაქცეული და ეხლანდელი ტაროები წინანდელ სიმინდის აჩრდილს მოგაგონებს. სიმინდის ნაცვლად ხილის მოსავალია წელს კარგი. საზამთრო, ნესვი, კიტრი ბლომად მოვიდა. ყოველგვარ ხილის მოსავალი უხვია. ხილის სიუხვემ მუსრი გაავლო ბავშვებს. ციებ ცხელება, ფაღარათი ჩვეულებრივ ავადმყოფობად გადაქცეულა. ძალიან იშვიათად შეჰხვდებით ისეთ ოჯახს, სადაც ერთი-ორი წევრი ავად არ იყოს: ზოგს აციებს, ზოგს აცხელებს, ზოგს ანთებს აქვს.

ილია ბახტაძე

წერილი ოზურგეთიდან

მეშვიდე ბატალიონის გადაყვანა

13 აგვისტოს ოზურგეთის მცხოვრებთ გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს მეშვიდე მსროლელთა ბატალიონს. ბატალიონი ოზურგეთში 16 წელიწადია, პირველად მესამე მსროლელთა დრუჟინის, ხოლო შემდეგ მეშვიდე ბატალიონის სახელით. ქალაქის მოურავმა გადასცა ბატალიონის უფროსს, პოლკოვნიკს ზოლოკოვსკის წმ. გიორგის ვერცხლის ხატი ზედ წარწერით. ამასთან წაიკითხა ბატალიონის ადრესი ხმ. მასალკინმა. პოლკოვნიკმა მადლობა გადაუხადა ქალაქის წარმომადგენელთ და აღნიშნა, რომ „ხატი" ესე იქნება შუამავალი ჩვენსა და თქვენს შორის და მაგის მადლის და მფარველობის ქვეშე მყოფი ჩვენი ბატალიონი მუდამ მადლობით მოიხსენიებს კეთილ სურვილით და მისწრაფებით ჩვენდამი აღჭურვილს: ოზურგეთის მცხოვრებლებს და მამაც გურულებს". შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ვ. ო. ურუშაძემ ოზურგეთის მხრით. „ჩვენ, ოზურგეთის მცხოვრებნი, თავად-აზნაურნი, მსახურნი, სასულიერო პირნი და მოქალაქენი გულწრფელის გრძნობით გამსჭვალულნი შევიკრიბენით, რომ უკანასკნელად შეძლების დაგვარად პატივი გცეთ და გითხრათ „მშვიდობით", ასე დაიწყო ბ-მა ურუშაძემ და დაათავა შემდეგის სიტყვებით:

„ამიტომ ჩვენ გიყურებთ როგორც ჩვენ ძმებს და მფარველთ და გწყინს თქვენი მოშორება. გაუმარჯოს და არ შეწყვეტილიყოს ის ძმობა და ერთობა, რომელიც ამ 16 წლის განმავლობაში აერთებდა ჩვენი მაზრის მცხოვრებლებს თქვენის ბატალიონის წარმომადგენლებთან".

სადილზედ პირველად უფროსების, მთავარმართებლისა და გენერლების სადღეგრძელოები დალიეს.

დამსწრე

დაბა-სოფლები

—

რუისი (ქართლი). 6 აგვისტოს აქ ფერისცვალება იცის. გორსა და ახლო-მახლო სოფლებიდან მრავალი ხალხი იკრიბება სადღესასწაულოდ. ბაზრობაც იმართება ხოლმე. წელს კი, ცუდის ამინდის გამოისობით, ხალხი ცოტა იყო, ასე რომ ფერის-ცვალებამ უფერულად ჩაიარა. მაგრამ მაინც თავისი არ დაიშალეს და კვლავინდებურად ბევრს ფერი აცვლევინეს: აქაური მკლავმაგრები დატრიალდნენ კეტებით და ცოდვიანთა და უცოდველთა თავები სისხლით შეღებეს.

დამსწრე

—

სადოლაშენი (ზემო ქართლი). 15 აგვისტოს ამ პატარა, მიყრუებულს სოფელს სულ სხვა ელფერი ედო, დიდ-ძალს ხალხს მოეყარა თავი სადღეობოდ. ამინდიც ხელს უწყობდა. ჩვეულებისამებრ სიმღერა, სხვა და სხვა საკრავების ხმა, გაჭრელის ყვირილი და ხალხის ხმაურობა განუწყვეტლივ გაისმოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, უჩხუბრადაც არ ჩაიარა დღეობამ; ორმა გაჟიტონმა შუა ხალხში ერთმანეთზე ხმალ-ხანჯალი იშიშვლეს და კინაღამ უბედურება დაატრიალეს.

სტუმარი

—

ხიდისთავი (ქართლი). ჩვენი სოფელი მევენახეობით და მებაღეობით არის განთქმული. ამას ხელს უწყობს გორის სიახლოვე, სადაც გამოაქვთ და ასაღებენ ხილეულობასა და ბოსტნეულობას. ზაფხულობით მუდამ შეჰხვდებით ხიდისთაველებს გორის სადგურზედ ხილით სავსე კალათებით. აქაურს ღვინოს, ატენის შემდეგ, ქართლში პირველი ადგილი უჭირავს. შარშანდელს ღვინის მოსავალზედ რთვილმა აღებინა ხელი ხიდისთაველებს, რის გამოც ბევრმა დიდი გაჭირვება გამოიარა და ვალი გაიორკეცა. წლევანდელს მოსავალს გაზაფხულზედ კარგი პირი უჩანდა. უხაროდათ: ეხლა კი მოგვხედა ღმერთმაო. სეტყვასაც გადარჩნენ და მადლობის ნიშნად სადმთოც კი გადაიხადეს. მაგრამ მილდიუმ იმათ სიხარულს მოულოდნელად ფრთები შეაკვეცა. ხშირს წვიმიან ამინდებზედ საშინელის სისწრაფით მოედო ვენახებს და სულ გაახმო. მხოლოდ ორჯელ ნაწამლი ვენახები გადარჩნენ, რამაც ყველანი დაარწმუნა ვენახის წამლის უტყუარს სარგებლობაში. კარგად იგრძნეს აქ საცდელად გაშენებულმა ამერიკულ ვაზის ნამყენმა. ბევრმა გამოთქვა სურვილი ამნაირ ვაზის გაშენებისა, მაგრამ არ იციან, ვის მიმართონ და საიდან იშოვონ იგი.

ი.—ი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 აგვისტო

ურალსკი. დაიწვა ორთქლის წისქვილი მაკაროვისა. ზარალი 200.000 მანეთს აღემატება.

სიმბირსკი. საგუბერნიო საერობო მმართველობაში დაიწყო საგუბერნიო სხდომა საერობო ექიმებისა და ერობის წარმომადგენლებისა იმ გეგმით, რომელიც შეიცავს უმთავრეს კითხვებს საერობო მედიცინისას. ამგვარი სხდომები ექვსი წელიწადია აღარ მომხდარა.

ალექსანდროვსკი. წავიდა პეტერბურგს ყურის ექიმთა რაზმი პროფესორ სიმანოვსკისა. ამ რაზმმა იმუშავა ქალაქსა და მაზრაში სამი თვე. 4000 კაცი გასინჯეს. ამას გარდა შემწეობა აღმოუჩინეს 7000 კაცს. ოპერაცია გაუკეთეს 504 კაცს.

პსკოვი. გაიხსნა მზითვის დამზღვევი კასსა. აზრადა აქვს შემწეობა აღმოუჩინოს იმათ, რომელნიც თხოვდებიან. კასსაში 251 წევრია და ასი კანდიდატი. რადგან მსურველი ბევრია, ჰფიქრობენ გახსნან მეორე კასსა, რომელშიაც შესვლა უფრო ადვილი იქნება.

ბელგრადი. მართლდება ხმა, ვითომ ბაშიბუზუკებს და ოსმალებს დაენგრიოთ წმინდა პროხორის მონასტერი და მოეკლათ ყველა იქ მცხოვრები. დიბრას მაზრაში ოსმალეთ ჯარისკაცებს გადაუწვავთ 30 სოფელი.

როსტოვი დონზე. პირუტყვთა გამოფენის კომიტეტში მრავალი განცხადება შემოაქვთ. მოელიან ექსპონატებს გერმანიიდან და ინგლისიდან.

კიუსტენჯი. მოვიდა ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი. დახვდა მინისტრ-პრეზიდენტი სტურდა. ცოტა ხნით შეჩერების შემდეგ მთავარი „ნადეჟდის" იახტით ვარნაში წავიდა.

პანამა. სრუტეზე ძლიერდება აღელვებული მოძრაობა, რომელიც გამოიწვია ხელ-შეკრულობის უარ-ყოფამ.

ვენუა. გაემგზავრნენ ბეირუტში კრეისერები „ბრუკლინი" და „სან-ფრანცისკო".

19 აგვისტო.

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს ვიტტეს ებრძანა სახელმწიფო საბჭოს წევრად ყოფნა.—ხელმწიფე-იმპერატორი უცხადებს მადლობას ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნატორს საუკეთესო წესებისათვის, რომელიც იყო დაცული მისი უდიდებულესობის მოსვლის დროს.—საერო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ 1905 წლის აპრილში ქ. ათინაში საერთაშორისო საარქეოლოგიო კონგრესი მოხდება.—დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ღამე კარგად გაატარა. სხეულის მარცხენა მხარას მოძრაობა ისევ ისე იმ მდგომარეობაშია. დიდი მთავარი სრულ გონებაზეა, მხოლოდ თავის ტკივილს უჩივის. გული საკმაოდ მუშაობს. ტემპერატურა ნორმალური აქვს. მთავარს მადა მოუვიდა.

ხარბინი. ჩინეთის გზაზე მატარებელი № 4 ხიდიდან გადავარდა. ოთხი ვაგონი დაზიანებულია და ორი (სალონი და ბარგისა) დამტვრეული. ორი კაცი მოკვდა და ექვსი დაიჭრა.

მოსკოვი. კარრას 12 წლის კატორგა მიუსაჯეს.

ლონდონი. სოლსბერის გვამი ტეტფილდში დაასაფლავეს მისი მახლობელთ დასწრებით. სამგლოვიარო წირვას დაესწრნენ მეფის და უელსის პრინცის წარმომადგენლები და გერმანიის რწმუნებული, საელჩოთა და მისსიათა წარმომადგენლები და წარჩინებული პოლიტიკური მოღვაწენი.

ვენა. მეფე ედუარდი მოვიდა.

ჯიბუტი. ცნობა მენელიკის ავადმყოფობაზე ტყუილი გამოდგა.

სოფია. „ბოლგარიის ტელეგრაფის სააგენტო"-ს ჩვენებით ცნობა მთავრის სასახლის ქვეშ მინების პოვნაზე ტყუილია.

სოფია. მთავარი ფერდინანდი ბუხარესტზე დაბრუნდება და დადგება ვარნის ახლოს ევქსინოგრადში.

ლონდონი. იაპონიის ელჩმა „ბურო-როიტერი"-ს წარმომადგენელს განუცხადა, რომ იაპონია მხოლოდ თავის ინტერესების დაცვას სცდილობს კორეაში. ის ვერ ჰხედავს, მიზეზებს, რომლის გამოც რუსეთთან უთანხმოების ატეხა შესაძლებელი იყოს. ის არც კი ეჭვობს, რომ რუსეთი აასრულებს პირობას და გაიყვანს ჯარებს მანჯურიიდან ოქტომბერში. ზოგიერთ კითხვებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა არა აქვთ და უთანხმოების ჩამოგდება კი შეუძლიანთ, მეგობრულად გადასწყვეტენ. ასეთი კითხვები კი თვით მეგობრულ დამოკიდებულებაში მყოფ სახელმწიფოებს შორისაც კი არსებობენ ხოლმე.

ვენა. გოფბურგში საპარადო სადილი გაიმართა ედუარდის თანდასწრებით. იმპერატორმა და მეფემ ერთმანეთის სადღეგრძელო დალიეს.

ვენა. საპარადო სადილზე იმპერატორმა სთქვა, რომ მეფე ედუარდის მოსვლაში ის ჰხედავს იმის ნიშანს, რომ ორ სამეფო სახლობათა და სახელმწიფოთა შორის მეგობრული ერთიერთობა არ მოისპობა მომავალშიაც, რადგანაც ამ ორ ნაციათა შორის საწინააღმდეგო არა არის რა, მეფე ედუარდმა იმპერატორი მისივე ნებართვით, ბრიტანიის ჯარის ფელდმარშლათ დანიშნა.

სტამბოლი. სტამბოლიდან სოფიისაკენ და ადრიანოპოლისაკენ რკინის გზით მიმოსვლა შეწყვეტილია. კონსტანტინოპოლიდან იგზავნის სხვა მატარებელი, რომელიც გაივლის მუსტაფა ფაშაზე დილით.

სოფია. აქ მცხოვრებ მაკედონელებში მღელვარებაა ძველ სერბიაში და მაკედონიაში მომხდარ უბედურების გამო. ზოგიერთ ქალაქებში მიტინგები იმართება აჯანყებულთა ზნეობრივ და მატერიალურ დახმარების აღმოსაჩენად. რკინის გზის მიმოსვლა თავის რიგზე მიდის.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

—

პეტერბურგის ბირჟა 14 აგვისტო

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაზე	—
პარიზისაზე 100 ფრანკზე	37,27½
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100½ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95⅜ გაყ.
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	442¾ „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335¾ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289¼ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	91¾ „
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	184 „

განცხადებანი

—

სასწავლებელი და პანსიონი

გ. ლ. კუზანოვისა

ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებლისთვის და იყვანს პანსიონერებს. მიღება დაიწყება 21 აგვისტოდან, ხოლო სწავლა—1 სექტემბრიდან. სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ., ს. საგარდო-პასერბსკისა № 26. (4—1)

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს 7 ნახატი აქვს დართული. გამოცემა კ. ჯ—სა. ფასი 40 კაპ.

იყიდება:

ქართვ. წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთანა და „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში (5—5.—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინცის ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—215)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისი.

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების" ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და პირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქისა და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაულისთვის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—56)

Дозв. ценз. Тифлисъ, 19 Августа 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)